გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს

განკარგულება № 113

2025 წლის 12 სექტემბერი

ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი"-ს შორის 2021 წლის 19 აგვისტოს გაფორმებული №13 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 08 იანვრის №2 განკარგულებისა და ,,გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 08 იანვრის №3 განკარგულების საფუძველზე, აუქციონის შედეგად, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი"-ს შორის 2021 წლის 19 აგვისტოს გაფორმდა №13 პრივატიზაციის ხელშეკრულება იმ პირობით, რომ პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 003, ნაკვეთი 024, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 24768 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.024) მყიდველი ვალდებული იყო მოეხდინა მიწის ნაკვეთის განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება განეხორციელებინა პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადაში.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო შპს „აგრო მოლი"-ს (ს.ნ 418476125) განცხადება, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ზემოაღნიშნული ვალდებულების განხორციელების მიზნით, მის მიერ შეთანხმებულ იქნა პროექტი სამაცივრე შენობა-ნაგებობის ასაშენებლად, თუმცა, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის (კოვიდ 19) გამო შეფერხდა მშენებლობა. კომპანია შპს „აგრო მოლი" (ს.ნ 418476125) აცხადებდა, რომ იმ ეტაპზე მის მიერ მობილიზებული იყო სამუშაო ძალა და ფინანსური სახსრები მშენებლობის განხორციელების მიზნით სს „ბანკი ქართუს" მეშვეობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „აგრო მოლი" (ს.ნ 418476125) ითხოვდა მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ ორი წლით, რაც გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 14 ივლისის №126 განკარგულებით მიეცა თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი"-ს შორის 2021 წლის 19 აგვისტოს გაფორმებული №13 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 003, ნაკვეთი 024, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 24768 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.024)

განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 2 (ორი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე. აღნიშნული განკარგულების საფუძველზე, 2023 წლის 20 ივლისს გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლს“ (ს/ნ 418476125) შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლის მიხედვითაც საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა შემდეგი: „პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადაში მოხდეს მიწის ნაკვეთის ს/კ 66.46.26.003.024 განაშენიანება და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება“.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია შპს „აგრო მოლი“-ს (ს.ნ 418476125) განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ შპს „აგრო მოლი“-მ (ს.ნ 418476125) მოიზიდა მსხვილი ინვესტიციები ფართო და მასშტაბური პროექტის განსახორციელებლად, რომელიც წაადგება ქალაქის ურბანულ განვითარებას. ს/კ 66.46.26.003.024 მიწის ნაკვეთზე მიმდინარე პროექტი წარმოადგენს ორ ნაკვეთზე (ს/კ 66.46.26.003.002 და ს/კ 66.46.26.003.028) განსახორციელებელი პროექტის განუყოფელ ნაწილს. დაგეგმილი მასშტაბური სამუშაოებიდან გამომდინარე, შპს „აგრო მოლი“ (ს.ნ 418476125) ითხოვს მითითებული პირობის ვადის გაგრძელებას კიდევ ოთხი წლით, თუმცა, ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, გორის მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული ვადა გაგრძელდეს მხოლოდ ორი წლით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი“-ს შორის 2021 წლის 19 აგვისტოს გაფორმებული №13 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 003, ნაკვეთი 024, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 24768 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.024) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 6 (ექვსი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „აგრო მოლი“-ს შორის 2021 წლის 19 აგვისტოს გაფორმებული №13 პრივატიზაციის ხელშეკრულების პირობის შეცვლაზე - პრივატიზებულ მიწის ნაკვეთზე (მის: გორის მუნიციპალიტეტი, კარალეთის ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი 003, ნაკვეთი 024, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, 24768 კვ.მ; ს/კ 66.46.26.003.024) განაშენიანების განხორციელების და აშენებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების ვადად პრივატიზაციიდან 4 (ოთხი) წლის ვადის ნაცვლად პრივატიზაციიდან 6 (ექვსი) წლის ვადის განსაზღვრის თაობაზე.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე